20-21 ივნისის მოვლენები

სამართლებრივი ანალიზი

2019

20-21 ივნისის მოვლენები
სამართლებრივი ანალიზი

თბილისი, 2019

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე
რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე
თარგმანი: ნინო ტლაშაძე
ფოტო ყდაზე: გიორგი ჟამერაშვილი, "ინტერპრესნიუსი"

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:
• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
• სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC);www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული ტელ.:
(+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

I. შესავალი 4
20 ივნისამდე განვითარებული მოვლენები 4
20-21 ივნისის საპროტესტო აქცია 5
II. აქციის დაშლის ფორმალური საფუძვლები 7
თავისუფალ შეკრებაზე უფლების შინაარსი და მოცულობა 7
20-21 ივნისის აქციის დაშლის სამართლებრივი შეფასება 9
III. აქციის დაშლისას ძალის გადამეტება 13
აქციის დაშლა სპეციალური საშუალებების გამოყენებით 13
20-21 ივნისის შეკრების მონაწილეთა მიდევნება 18
IV. ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა 22
V. აქციის მონაწილეთა დაკავებები და სასამართლო პროცესები 26
21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესები 27
VI. დასკვნა 30
VII. რეკომენდაციები 31

I. შესავალი

2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აგრძელებს წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ ძალადობრივი მმართველობის სტილს.

ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის დაშლისას გამოყენებულმა არაპროპორციულმა და გადამეტებულმა საპოლიციო ძალამ სამართლიანად დატოვა აქციის მონაწილეთა დასჯის შთაბეჭდილება.

საქართველოს უახლეს ისტორიაში, 2007 წლის 7 ნოემბერთან და 2011 წლის 26 მაისთან ერთად, გაჩნდა სახელმწიფოს მხრიდან ხალხზე ძალადობის აღმნიშვნელი ახალი თარიღი - 20-21 ივნისი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს მხრიდან ძალის გადამეტების შემდგომი პრევენციისთვისათვის, აუცილებელია, განვითარებული მოვლენების სწორი და ზუსტი შეფასება, ასევე - დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

20 ივნისამდე განვითარებული მოვლენები

2019 წლის 17 ივნისს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა წევრმა გიორგი კანდელაკმა გაავრცელა ინფორმაცია 19 ივნისს დაგეგმილი მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთის დუმის დეპუტატებსაც. მისივე შეფასებით, რუსეთის დუმის წევრთა შემოსვლა ქვეყანაში არასასურველი და ზიანის მომტანი იყო როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, ასევე მისი საერთაშორისო ავტორიტეტისთვის1.

რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის დუმის დეპუტატი, კომუნისტური პარტიის წევრი, სერგეი გავრილოვი, რომელიც ასევე არის დუმის ფრაქციათაშორისი ჯგუფის კოორდინატორი ქრისტიანული ფასეულობების დაცვის კუთხით და დაჯილდოებულია რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ2. საპარლამენტო ოპოზიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით3, გავრილოვი ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთის ომშიც მონაწილეობდა (ამის შესახებ ინფორმაცია ღია წყაროებით არ იძებნება) და ამავე დროს, მან როგორც რუსეთის დუმის დეპუტატმა, 2008 წლის 25 აგვისტოს ჩატარებული კენჭისყრისას, მხარი დაუჭირა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო 26-ე გენერალური ასამბლეის სესია 19 ივნისს სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში საპროტესტო აქციის ფონზე გაიხსნა. აქციაში მონაწილეობდნენ პარტიების - „ევროპული საქართველოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. აქციის მონაწილეები სესიის ჩატარებას და საქართველოში სერგეი გავრილოვის ჩამოსვლას აპროტესტებდნენ. მათი თქმით, ხელისუფლების სირცხვილია ქვეყანაში იმ რუსი დეპუტატის ყოფნა, რომელმაც საქართველოს ოკუპაციას და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას დაუჭირა მხარი.

---

[1] გიორგი კანდელაკის განცხადება: https://bit.ly/2kgz6YY
[2] იხ.: https://bit.ly/2kFFF7x
[3] იხ. https://bit.ly/2pj6IYd

20-21 ივნისის საპროტესტო აქცია

საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება და პროტესტი სესიის მეორე დღეს - 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში რუსი დეპუტატის სიმბოლურ აქტს მოჰყვა, როცა მან საქართველოს პარლამენტის სპიკერის ადგილი დაიკავა და მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო გენერალური ასამბლეის რიგით 26-ე სესია რუსულ ენაზე წაიყვანა. გავრილოვის პარლამენტში გამოსვლა ფრაქცია „ევროპული საქართველოსა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა გააპროტესტეს. შესვენების შემდეგ პრეზიდიუმი საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა დაიკავეს და ასამბლეას მუშაობის გაგრძელების საშუალება არ მისცეს. პარალელურად, პარლამენტის შიგნით და გარეთ, საზოგადოებრივი ჯგუფების მობილიზაცია დაიწყო. შედეგად, საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სხდომა შეწყდა. მალევე რუსეთის დელეგაციამ, სერგეი გავრილოვთან ერთად, ჯერ პარლამენტის შენობა, მოგვიანებით კი - ქვეყანა პროტესტის ფონზე დატოვა.

დღის განმავლობაში დაწყებულმა სპონტანურმა საპროტესტო აქციამ 20 ივნისის საღამოს ორგანიზებული, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის სახე მიიღო. სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული ანტისაოკუპაციო აქცია, სლოგანით - „სირცხვილია“ პარლამენტთან თბილისის დროით 19:00 საათზე დაიწყო. მოქალაქეები აპროტესტებდნენ რუსული დელეგაციის ვიზიტსა და რუსეთის ოკუპაციას. პარალელურად, აქციის მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა მთავარ მოთხოვნებად წამოაყენეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობებიდან გადადგომა. აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში რუსთაველის გამზირზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა, წინასწარ მოწყობილ სცენაზე მალევე სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერი გამოჩნდა, რომლებიც აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართავდნენ.

საპროტესტო აქცია დაწყებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. 21:09 წუთზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიკანორ მელიამ მიკროფონით მთავრობის წარმომადგენლებს მიმართა და ერთსაათიანი ვადა მისცა იმისათვის, რომ გადაეყებენინათ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მელიას თქმით, მოქალაქეები პარლამენტში შევიდოდნენ.

მელიას ამ განცხადების საპასუხოდ პარლამენტის კიბეებზე, სპეციალურად მოწყობილ სცენასთან, პარლამენტის შენობის გასწვრივ, სპეცტექნიკით შეიარაღებული სამართალდამცავები ჩადგნენ. სპეციალური დანიშნულების რაზმის ნაწილი კი, განსხვავებით სხვა შემთხვევებისა, მომიტინგეების მხარეს, პარლამენტის მთავარი შესასვლელი ჭიშკრის წინ განლაგდა, რასაც აქციის მონაწილეთა პროტესტი და სპეცრაზმთან ხელჩართული შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

სიტუაცია დრამატულად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ცალკეული ოპოზიციური პარტიების ლიდერების მიერ ხელისუფლებისთვის აქციის მონაწილეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიცემული ერთსაათიანი ვადა ამოიწურა. დაახლოებით 21:50

საათისთვის აქციის მონაწილეთა ნაწილმა, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მოწოდებით, პარლამენტში შესვლა პოლიციის კორდონის გარღვევით სცადეს - პარლამენტის წინ კიბეებთან მყოფი დაახლოებით 300-მდე მომიტინგე მათ წინ მდგარ სამართალდამცველებს მიაწვა და კორდონის გარღვევას შეეცადა, რასაც მომიტინგეების ამ ნაწილსა და სამართალდამცველებს შორის ერთსაათიანი ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. აქციის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა საგანს (კენჭებით სავსე ბოთლები; ქვები და ა.შ.) ისროდა კორდონში მყოფი სამართალდამცველების მიმართულებით. დაფიქსირდა პოლიციელთა ფიზიკური შეურაცხყოფის, მათი განიარაღებისა და რიგ შემთხვევებში, მათი კორდონებიდან გატაცების ფაქტები. შსს-დან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით, აქციის მონაწილეებმა ცოცხალი ჯაჭვიდან გაიტაცეს 30 სამართალდამცველი და წაართვეს 300-ზე მეტი სპეციალური აღჭურვილობა (სპეციალური ფარები და ჩაფხუტები)4.

რიგითი პოლიციელები რამდენიმე საათის განმავლობაში სპეციალური საშუალებების გამოყენების გარეშე ცდილობდნენ პარლამენტის შენობის დაცვას და არ აძლევდნენ მომიტინგეებს პარლამენტში შესვლის უფლებას. პარალელურად, პარლამენტის შიდა ეზოში სპეციალური დანაყოფის რაზმებისა და სპეცტექნიკის მობილიზაცია დაიწყო. 20:22 საათზე, პარლამენტის ეზოში სპეცტექნიკით სავსე ყვითელი ავტობუსები შეიყვანეს. ამ დროისთვის პარლამენტისა და მთავრობის სახლის ეზოებში უკვე დიდი რაოდენობით სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებულები. აქციის მიმდინარეობის პარალელურად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა საქართველოს პარლამენტში აკრედიტირებული ჟურნალისტები შენობიდან გამოაძევა.

მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეთა ქმედებები არ ატარებდა წინასწარი განზრახვის ხასიათს და იყო სპონტანური, რაც ცალკეული პოლიტიკოსების პარლამენტში შესვლისკენ მოწოდებების შემდგომ დაიწყო, დაახლოებით 21:50 საათიდან აქციის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის ქცევამ აშკარად არამშვიდობიანი ხასიათი მიიღო.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ აქციის მონაწილეთა ქცევა არ იყო ჰომეგენური, ძალადობრივი ქმედებებით გამოირჩეოდა აქციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ პარლამენტის წინ იმყოფებოდა.

აქცია რადგან სპონტანურად იყო დაგეგმილი, ხმის გამაძლიერებელი ტექნიკა მთელი ღამის განმავლობაში შეფერხებით ფუნქციონირებდა. აქციის მოულოდნელად გაზრდილი მასშტაბების გამო, ვეღარ ხერხდებოდა მთელი ტერიტორიის დაფარვა ხმის გამაძლიერებელი აპარატებით. შესაბამისად, სპეციალურად მოწყობილ სცენაზე გამომსვლელთა ხმა მხოლოდ აქციის მონაწილეთა იმ ნაწილს ესმოდა, რომელიც უშუალოდ პარლამენტის წინა ზოლში და მის მიმდებარედ იდგა. აქედან გამომდინარე, პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს, ქაშუეთის ეკლესიის და მის მიმდებარედ მყოფი აქციის მრავალი მონაწილისთვის არ იყო ცნობილი აქციის გარკვეული ნაწილის განზრახვის შესახებ - შესულიყვნენ პარლამენტში. ასევე, აქციის მონაწილეები აქციის დაწყებიდანვე საუბრობდნენ სატელეფონო სიგნალების

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრს MIA 4 19 02478594 18/09/2019

ხარვეზზეც, რასაც ისინი ხელისუფლების მიერ ინფორმაციის გავრცელების შეფერხების მცდელობას და ხალხის მობილიზაციის ხელშეშლას უკავშირებდნენ.

20 ივნისის ღამეს, 23:56 წუთზე სამართალდამცავებმა აქციის დაშლისთვის განკუთვნილი სპეციალური საშუალებების გამოყენება მომიტინგეთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაიწყეს, რაც რამდენიმე საათის განმავლობაში გაგრძელდა.

II. აქციის დაშლის ფორმალური საფუძვლები

თავისუფალ შეკრებაზე უფლების შინაარსი და მოცულობა

უფლება შეკრების თავისუფლებაზე დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლის I პუნქტით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლით, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-12 მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით.

ამ უფლების შინაარსთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შეკრების თავისუფლებაზე უფლება მოიაზრებს უფლებას მშვიდობიან შეკრებაზე და დემოკრატიის ცენტრალური ასპექტია, ვინაიდან მშვიდობიანი პროტესტი ცვლილების მიღწევის უმნიშვნელოვანესი გზაა. შეკრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები აკისრია. კერძოდ, სახელმწიფომ არ უნდა აღკვეთოს, ხელი არ შეუშალოს, ან არ უნდა შეზღუდოს მშვიდობიანი შეკრება. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულებებიც, რაც გულისხმობს იმას, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა გონივრული და ადეკვატური ღონისძიებები უნდა განახორციელონ იმ პირთა დასაცავად, ვისაც სხვებთან ერთად შეკრებით სურს აზრის გამოხატვა და უზრუნველყოს მათი უფლება შეკრების თავისუფლებაზე. უფლების მოცულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რაც შეკრების თავისუფლებას აქვს პიროვნების განვითარებისა და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, უფლება შეკრების თავისუფლებაზე არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას5.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უფლების შეზღუდვას უნდა ჰქონდეს საფუძველი ქვეყნის კანონმდებლობაში და აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში შემდეგი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის დასაცავად: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, არეულობისა თუ დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობისა თუ მორალის, ან სხვათა უფლებებისა და

I. [5] ob.case ZILIBERBERG v. MOLDOVA: https://international.vlex.com/vid/ziliberberg-v-moldova-26811081

თავისუფლებების დაცვა. თუმცა, ამისგან დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს თავად ჩარევის ინტენსივობა და პროპორციულობა, რადგან სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება არ უნდა იყოს ადამიანის უფლებების შემლახავი. ხელისუფლება მუდმივად არის შეზღუდული კონსტიტუციური პრინციპებით და თუნდაც მართლზომიერი ინტერესების დაცვისას იგი თავს ვერ აარიდებს ვერც თანაზომიერების და ვერც პროპორციულობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას. უფლების შეზღუდვის თანაზომიერება გულისხმობს, ამ მიზნით გამოყენებული ღონისძიებების ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ ქმედებებს, რაც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

უფლება შეკრების თავისუფლებაზე იცავს მხოლოდ მშვიდობიან შეკრებას. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, „Ziliberberg მოლდოვას წინააღმდეგ“6 საქმის არსებითად განსახილველად დასაშვებობის შესახებ მიღებულ განჩინებაში განმარტა, რომ პირს არ უწყდება უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე სპორადული ძალადობისა, თუ სხვა დასჯადი ქმედებების გამო, რაც დემონსტრაციის განმავლობაში სხვების მიერ არის ჩადენილი, თუ თავად ეს პირი რჩება მშვიდობიანი თავის ზრახვებსა თუ ქმედებაში7. გარდა ამისა, ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების 1.3 პუნქტითაც8, რასაც აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, შეკრება მშვიდობიანია, თუ მისმა ორგანიზატორებმა განაცხადეს თავიანთი მშვიდობიანი ზრახვების შესახებ და შეკრება არაძალადობრივია. ტერმინი „მშვიდობიანი“ ისე უნდა განიმარტებოდეს, რომ მოიცვას ქმედებები, რომლებიც გამაღიზიანებელი ან შეურაცხმყოფელია და ის ქმედებებიც კი, რომლებიც დროებით აბრკოლებს, ხელს უშლის ან წინ ეღობება მესამე მხარის ქმედებებს. სახელმძღვანელო პრინციპებში რამდენჯერმე არის აღნიშნული, რომ შეკრების მონაწილეთა მცირე რაოდენობის მიერ ძალის გამოყენება სხვა მხრივ მშვიდობიან შეკრებას ავტომატურად არამშვიდობიან ხასიათს არ აძლევს9. ასეთ შემთხვევაში, ყოველგვარი ჩარევა მიმართული უნდა იყოს ცალკეული პირების წინააღმდეგ და არა მთლიანად შეკრების დაშლისკენ10 ან კიდევ, თუ აგენტმა პროვოკატორებმა შეაღწიეს სხვაგვარად მშვიდობიან შეკრებაში, სამართალდამცველებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რომ ჩამოაშორონ ისინი და არა შეკრება გამოაცხადონ უკანონოდ და დაშალონ იგი11. ამგვარად, სასამართლოს განმარტებებით, შეკრება ითვლება მშვიდობიანად, თუ არ არსებობს დამაჯერებელი და თვალსაჩინო მტკიცებულება, რომ შეკრების ორგანიზატორები ან მონაწილეები მიზნად ისახავდნენ ძალადობას, მოუწოდებდნენ ან აქეზებდნენ დაუყოვნებლივ ძალის გამოყენებას12.

---

[6] იხ. https://international.vlex.com/vid/ziliberberg-v-moldova-26811081, (განაცხადი no. 61821/00, 2004 წლის 4 მაისის განჩინება);
[7] Idem;
[8] იხ.https://www.osce.org/odihr/73405?download=true;
[9] იხ. https://www.osce.org/odihr/73405?download=true ; (25-ე და 164-ე და 167-ე პუნქტები);
[10] იხ. https://www.osce.org/odihr/73405?download=true ; (164-ე პუნქტი);
[11] იხ. https://www.osce.org/odihr/73405?download=true; (167-ე პუნტი);
[12] იხ. https://www.osce.org/odihr/73405?download=true ;(25-ე პუნქტი);

20-21 ივნისის აქციის დაშლის სამართლებრივი შეფასება

შეკრების უფლებაში ჩარევის ფორმალური კანონიერების დასადგენად, არსებითი მნიშვნელობა აქვს აქციის მშვიდობიანი ხასიათის შეფასებას, რადგან მხოლოდ მშვიდობიანი მანიფესტაცია ექცევა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ უფლებათა სფეროში. პროტესტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი კონსტიტუციის 21-ე მუხლის III ნაწილით პირდაპირი წინაპირობაა უფლებაში ჩარევის. მსგავსი მიდგომაა ევროპულ კონვენციაშიც, რომელიც გამორიცხავს კონვენციის მე-11 მუხლის და ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენებას არამშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ. ამიტომაც, პირველ რიგში, აუცილებელია აქციის მშვიდობიანი ხასიათის შესაძლო არსებობა-არარსებობის განსაზღვრა.

ვიდრე შეკრება მშვიდობიან ხასიათს ატარებს, დაუშვებელია მისი დაშლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. შეკრების დაშლა უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და ეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წესებით უნდა მოხდეს (სახელმძღვანელო პრინციპების 165-ე პუნქტი). დაუშვებელია შეკრების დაშლა: 1) პირდაპირ, ისე, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არა აქვთ მიღებული ყველა გონივრული ზომა შეკრების ჩასატარებლად და მის დასაცავად (მაგალითად, არ აღკვეთილა იმ აგრესიულ, აქციაზე მიკედლებულ პირთა მოქმედება, რომლებიც ძალადობით იმუქრებიან; 2) თუ არ არის ძალადობის მყისიერი საფრთხე (სახელმძღვანელო პრინციპების 166-ე პუნქტი). ამავე დროს, შესაძლებელი უნდა იყოს იმ სამართალდამცავი პირების მკაფიოდ და ინდივიდუალურად იდენტიფიცირება, რომლებიც მანიფესტაციის დაშლაში მონაწილეობენ.

20 ივნისის საღამოს, მას შემდეგ, რაც ცალკეული პოლიტიკოსების მოწოდებას, აქციის მონაწილეთა ნაწილის მიერ პარლამენტში შეჭრის მცდელობა მოჰყვა, აქციამ არამშვიდობიანი სახე მიიღო, რაც რამდენიმე საათის განმავლობაში მძიმე ფიზიკური დაპირისპირებით მიმდინარეობდა. ადგილზე, „ცოცხალ ჯაჭვში“ გამაგრებული პოლიციის ქვედანაყოფები თავდაცვით რეჟიმში ცდილობდნენ პარლამენტის შენობის დაცვას, რასაც თან სდევდა სამართალდამცველებისა და აქციის მონაწილეთა ფიზიკური დაზიანებები, ასევე - პოლიციელების განიარაღების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისა და სხვა ძალადობრივი ფაქტები. აქციის მონაწილეთა ნაწილი, საკუთარი ძალადობრივი ქმედებებით, გასცდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დაცული გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების ფარგლებს.

თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, აქციის მონაწილე ცალკეული პირებისა თუ ჯგუფის ძალადობრივმა ქმედებებმა არ შეიძლება იგივე სამართლებრივი რეჟიმი გაავრცელოს შეკრებაში მონაწილე მშვიდობიანი ინდივიდებისადმი. შესაბამისად, აქციის ხასიათის ძალადობრივად ტრანსფორმაციისგან დამოუკიდებლად, მშვიდობიანი მომიტინგეები ინარჩუნებდნენ კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ყველა გარანტიას. ასევე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სფეროში ინდივიდუალურად ექცევა ყველა მშვიდობიანი მომიტინგე. ამიტომაც, სახელმწიფოს შემდგომი მოქმედება განსაკუთრებულ სიფრთხილეს და უფლებაში ჩარევის ყველა რისკის გათვალისწინებას საჭიროებს.

დაახლოებით 22.00 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა საგანგებო განცხადება, სადაც ნათქვამი იყო: „შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს პარლამენტის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ კანონდარღვევა და ძალადობა, არ აჰყვნენ პროვოკაციას, დაემორჩილონ პოლიციის მოთხოვნას და დატოვონ პარლამენტის ტერიტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია მიიღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს"13.

ამავე დროს, პარლამენტში მისულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა 22:04 და 22:27 საათზე, სხვადასხვა ტელეარხების საშუალებით, მოუწოდა შეკრებილ მომიტინგეებს დამორჩილებოდნენ პოლიციელების მოთხოვნას და მიმდინარე მოვლენებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოზე შტურმი უწოდა. 22:45 საათზე, მსგავსი შინაარსის მოწოდება გაავრცელა ქ. თბილისის მერმაც14.

დაახლოებით 22:24 საათზე, პარლამენტში შესვლის მსურველი მოქალაქეების დამშვიდებას „ევროპული საქართველოს" წევრები გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და სერგო რატიანი შეეცადნენ. ისინი ხალხს ხელების აწევისა და დამშვიდებისკენ მოუწოდებდნენ, რამაც სიტუაცია დროებით განმუხტა.

ამ დროის განმავლობაში, სამართალდამცველებს აქციის დაშლის სპეციალური საშუალებები არ გამოუყენებიათ. მეტიც, 23:50 საათზე პრემიერ-მინისტრმა - მამუკა ბახტაძემ პარლამენტის შენობაში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა: „სოციალურ ქსელებში და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მართულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვიყენებთ რეზინის ტყვიებს, სხვადასხვა ტიპის გაზს და ა.შ. „ქართული ოცნების" ხელწერა ეს არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება, როდესაც ვსაუბრობთ ჩვენს მშვიდობიან მოქალაქეებზე"15. პრემიერის ეს განცხადება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ აქციის მართვა სპეციალური საშუალების გამოყენების უკიდურეს საშუალებებს არ საჭიროებდა და, ამდენად, არც ხალხში არსებობდა საფრთხის მოლოდინი.

პრემიერ მინისტრის აღნიშნული განცხადების პარალელურად, ოპოზიციის ლიდერებმა აქციაზე გააჟღერეს ინფორმაცია, რომ მათ შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასგან მიიღეს შეთავაზება მოლაპარაკების დაწყებათან დაკავშირებით, რისი ამსახველი ვიდეომასალაც16 ღია წყაროებითაც არის ხელისაწვდომი. ლიდერებმა აქციის მონაწილეებს ჰკითხეს შესვლასთან დაკავშირებით აზრი და თანხმობის შემდეგ, ისინი გეგმავდნენ მოლაპარაკებების დაწყებას, მაგრამ ამის საშუალება მათ აღარ მიეცათ, რადგან პრემიერ მინისტრ ბახტაძის განცხადებიდან 6 წუთის შემდეგ, 23:56 წუთზე სპეცსამსახურებმა აქციის დაშლისთვის სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყეს.

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, თუ აუცილებლად იქნება მიჩნეული შეკრების დაშლა, შეკრების ორგანიზატორები და მონაწილეები მკაფიოდ და გასაგებად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სამართალდამცავთა მხრიდან ყოველგვარი ჩარევის შესახებ. მონაწილეებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო, რათა ნებით დაიშალონ. სამართალდამცავებს ჩარევა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები არ დაიშლებიან. ამასთან დამკვირვებლებს, ჟურნალისტებს,

---

[13] იხ. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saminsitros-sagangebo-gantskhadeba/12820
[14] იხ. https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/109322/gakharia-rogorts-ki-sachiroeba-iqneba-gadavdgebi
[15] იხ. https://bit.ly/2Hivs9j
[16] იხ. https://bit.ly/2kbTWZw

ფოტოგრაფებს არ უნდა შეეშალოთ ხელი პოლიციის ოპერაციაზე დაკვირვებასა და დაფიქსირებაში17. პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაცია მოულოდნელი არ უნდა იყოს დემონსტრანტებისთვის. საკმარისი დროის მიცემა გულისხმობს იმას, რომ ხალხს შეეძლოს ინდივიდუალურად რეაგირება იმ მდგომარეობაზე, რაშიც ისინი აღმოჩნდებიან18. ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, კატეგორიულად აკრძალულია ძალის გამოყენება იმ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, ვისაც არ შეუძლია დემონსტრაციის ადგილის დატოვება19.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პოზიციით, შეკრების უფლებაში ჩარევა განპირობებული იყო არა მხოლოდ ძალადობის საფრთხის არსებობით, არამედ ასეთი ძალადობის უკვე არსებობით, რაც აქციის მონაწილეთა მხრიდან პოლიციის კორდონის გარღვევის მცდელობით და მათი მრავალეპიზოდიანი ძალადობრივი ქმედებებით იყო განპირობებული. შსს-ს წერილში არაფერია ნათქვამი მათ მიერ ცალკეული ძალადობრივი ჯგუფის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების მიღებაზე და აქციისთვის მშვიდობიანი ხასიათის დაბრუნების მცდელობაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შეტაკებების დაწყების საწყის ეტაპზე პოლიციამ რამდენიმე დემონსტრანტის დაკავება შეძლო, რასაც გავლენა არ მოუხდენია დანარჩენი, არამშვიდობიანი, აქციის მონაწილეების ქცევაზე. აქცია თავის მხრივ საკმაოდ ხალხმრავალი იყო. გარდა ძალადობაში უშუალოდ მონაწილე ჯგუფისა, აქციაზე რჩებოდა მრავალი ათასი მშვიდობიანი მომიტინგე, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ მიმდინარე მოვლენებში. ამის მიუხედავად, ძალადობრივი ქმედებების ინტენსივობა და ხასიათი შეუძლებელს ხდიდა აქციის ათეულობით აგრესიული მონაწილის იზოლირებას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა აქციისთვის მშვიდობიანი ხასიათის დაბრუნება.

ასევე, აღსანიშნავია აქციის ორგანიზატორთა არასაკმარისი და არაეფექტური მცდელობა აქციისთვის დაებრუნებიათ მშვიდობიანი ხასიათი. მეტიც, სწორედ ცალკეული ლიდერების მოწოდებებს მოჰყვა სიტუაციის ესკალაცია. შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან უფლებაში ჩარევას ლეგიტიმურს ხდიდა აქციაზე წარმოქმნილი დაპირისპირება, რომელსაც თან სდევდა როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების, ასევე დემონსტრანტების მძიმე ფიზიკური დაზიანება, რისი აღმოფხვრაც იზოლირებულად ვერ ხერხდებოდა. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელისუფლების მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილება რამდენიმე საათის განმავლობაში არ იქნა მიღებული და მაშინ როცა აგრესიის ინტენსივობა ყველაზე ძლიერი იყო, სამართალდამცავები სპეციალური ღონისძიებების გამოყენების გარეშე ცდილობდნენ აქციის მართვას. დაშლის გადაწყვეტილება კი მაშინ იქნა მიღებული, როცა აქციის ორგანიზატორებმა მოლაპარაკებების დაწყებაზე მზაობა საჯაროდ გააჟღერეს, რაც შსს-ს იმდროინდელი მინისტრის სატელევიზიო ინტერვიუებით შემდგომში ასევე დადასტურდა. გიორგი გახარიას ინფორმაციით, აღნიშნული მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან აქციის ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს პროცესის მართვა20. აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება გაზიარებული, რამდენადაც საამისოდ აქციის მონაწილეთათვის არ იქნა

[17] იხ. https://www.osce.org/odihr/73405?download=true (168-ე პუნქტი);
[18] Idem: 150-ე პუნქტი;
[19] Idem: 176-ე პუნქტი;
[20] იხ. https://bit.ly/2n1qO8v ბოლო ნახვა, 09/30/2019

საკმარისად გონივრული ვადა მიცემული. აქციის დაშლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ლიდერებმა სწორედ მოლაპარაკებების დაწყების შესახებ გააკეთეს განცხადება, მაგრამ შემდგომში გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული მოლაპარაკებები არ შედგა, სწორედ აქციის დაშლის დაწყების გამო21.

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აქციის ერთი ნაწილის მოქმედებების არამშვიდობიანი ხასიათისა და მათი ქმედებებისა, რამაც შეკრებისა და გამოხატვის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი შექმნა, თავად სპეციალური ღონისძიების არაპროპორციულობა და მისი გამოყენების დაწყებამდე არსებული ვითარება ტოვებს ეჭვს, რომ ეს განხორციელდა არა საზოგადოებრივი მშვიდობის დაცვის მიზნით, არამედ ხელისუფლებამ მიიღო ოპოზიციისა და მომიტინგეების დასჯის გადაწყვეტილება. არეულობის მართვის ისეთი საშუალების გამოუყენებლობა, როგორიცაა მოლაპარაკება და სხვა ნაკლებად მტკივნეული მეთოდები, სამართლიანად ტოვებს საზოგადოებაში უსამართლობისა და სახელმწიფოს მიერ საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობის განცდას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი გმობს მხარეთა მიერ გამოჩენილ უპასუხისმგებლობას და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობის არგამოყენებას. ცალკეულ ოპოზიციურად განწყობილ ლიდერთა განცხადებით სიტუაციის ესკალაცია არის უპასუხისმგებლო საქციელი, ხოლო აქციის ცალკეულ მონაწილეთა ქმედებები - სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნების შემცველი, რაც ზუსტ და ადეკვატურ გამოძიებას საჭიროებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ აქციის დაშლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სიტუაციის დეესკალაციის უფრო უმტკივნეულო მეთოდის გამოყენება, მეტიც საკუთარი რიტორიკით, შეეცადა მოვლენების დრამატიზებას და პარლამენტის წინ მიმდინარე მოვლენები სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობას დაუკავშირა, რაც სამართლებრივად დაუსაბუთებელია. თუმცა, ამან გავლენა იქონია საზოგადოების დიდი მასის აზრის ფორმირებაზე, რითიც ხელისუფლება საკუთარი მოქმედების ლეგიტიმაციის გაზრდას შეეცადა. ცალკე უნდა იქნას განხილული აქციის დაშლისას გამოყენებული ძალისა და საშუალებების პროპორციულობისა და თანაზომიერების საკითხი.

[21] იხ. https://bit.ly/2kbTWZw ბოლო ნახვა 09/30/2019

III. აქციის დაშლისას ძალის გადამეტება

20 ივნისის ღამე 23.56 საათზე სამართალდამცაველებმა აქციის დაშლა ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაიწყეს. დაშლა რამდენიმე საათის განმავლობაში სხვადასხვა სპეციალური საშუალებით ხდებოდა, რა დროსაც 240 ადამიანი დაშავდა, მათგან 80-მდე პოლიციელი. რეზინის ტყვიებით დარბევის შედეგად, სამმა ადამიანმა დაკარგა თვალი. ხოლო 38 ჟურნალისტმა ფიზიკური დაზიანება მიიღო. სამართალდამცველები აქციის მონაწილეებს მთელი ღამის განმავლობაში აკავებდნენ არაპროპორციული ძალის გამოყენებით. დაკავებულთა მიმართ დაფიქსირდა არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტები. ასევე, ცალკეულ სპეცრაზმელთა მხრიდან, სპეციალური საშუალებების კანონსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტები (რეზინის ტყვიების დამიზნებით სროლა, სროლის ახლო მანძილი და ტრაექტორია და ა.შ.).

აქციის დაშლა სპეციალური საშუალებების გამოყენებით

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისი სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც შეკრება მიიჩნევა უკანონოდ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, სამართალდამცავმა უწყებებმა არ უნდა გამოიყენონ ძალა მხოლოდ მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო. შეკრების ან მისი ნაწილის კანონთან შეუსაბამობის დადგენა ავტომატურად არ ნიშნავს მასში ჩარევისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების აუცილებლობას22.

აქციის დაშლის დაწყებამდე ხელისუფლების მიერ სხვა უფრო ნაკლებად მძიმე საშუალებების გამოყენება, არა მათი კეთილი ნება, არამედ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევის კონვენციური წინაპირობაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები შეკრებების დაშლას ასევე განიხილავს უფლების შეზღუდვის უკანასკნელ საშუალებად, რომელიც არ უნდა იქნას მიღებული, ვიდრე სამართალდამცავი უწყებები შეკრების უფლების უზრუნველყოფისა და ზიანის შემცირებისთვის ყველა გონივრულ ზომას არ მიიღებენ, იმ დრომდე, სანამ არ იარსებებს ძალადობის გარდაუვალი საფრთხე.

ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მყარი მიზეზების არსებობისას - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციისთვის. OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ძალის პროპორციული და დიფერენცირებული გამოყენების საშუალებები, რაც გულისხმობს სამართალდამცავი პირების არალეტალური იარაღით აღჭურვას. ამასთან, სამართალდამცავი პირები უნდა აღიჭურვონ თავდაცვის საშუალებებით, როგორიცაა: ჩაფხუტები, ცეცხლგამძლე სამოსი, ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და ადეკვატური ტრანსპორტი. თავდაცვის აღჭურვილობის მთავარი მიზანია მანიფესტანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმამდე დაყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ძალის გამოყენება ხშირად აუცილებელია პოლიციის მხრიდან - დანაშაულის თავიდან აცილების ან დამნაშავეთა და სავარაუდო დამნაშავე პირთა დასაკავებლად, ეს უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ძალის გამოყენება წარმოადგენდეს

[22] OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION

საგამონაკლისო ზომას. ეს ზომა არ უნდა იყოს გამოყენებული თვითნებურად, უნდა იყოს საფრთხის პროპორციული, მიმართული ზიანის შემცირებასა და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

შსს-დან ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა და სხვადასხვა მედიასაშუალებით შსს-ს მაღალჩინოსანთა განცხადებებიც ცხადყოფს, რომ ისინი ძალადობის რეალური საფრთხის წარმოშობას დაახლოებით 21.50 საათიდან მომიტინგეებსა და პოლიციელებს შორის დაწყებულ დაპირისპირებას უკავშირებენ. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილება აქციის დაშლაზე არ მიღებულა მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში და სამართალდამცველები სპეციალური საშუალებების გამოყენების გარეშე ცდილობდნენ პარლამენტის შენობის დაცვას. პრემიერის მიერ პარლამენტში ყოფნისას გაკეთებულმა განცხადებამ, ასევე პარლამენტის ვიცე სპიკერ მამუკა მდინარაძის ინტერვიუმ საბოლოოდ შექმნა მოსახლეობაში რწმენა, რომ არ არსებობდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სპეციალური ძალის გამოყენების აუცილებლობა და არც მმართველი გუნდის პოლიტიკური ნება აქციის დაშლისთვის. მით უფრო, როცა აქციის დაშლამდე რამდენიმე წუთით ადრე შუამავლის (პავლე კუბლაშვილი) მეშვეობით დაიგეგმა ოპოზიციის ლიდერებსა და შსს-ს იმდროინდელ მინისტრ გიორგი გახარიას შორის მოლაპარაკებები23, რაც კიდევ უფრო ამყარებდა სიტუაციის დეესკალაციის იმედს, მოლაპარაკებების გზით.

ხელისუფლების მხრიდან აქციის მონაწილეთა მოთხოვნებზე შემხვედრი ნაბიჯების არგადადგმა და პარლამენტის თავმჯდომარის მიერ პოლიტიკური პასუხისმგებლობის დროულად არაღება, ასევე უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების პოლიტიკურ შეცდომად. ეს დასტურდება აქციის დაშლიდან მეორე დღეს ირაკლი კობახიძის თანამდებობიდან გადადგომით. ამ ნაბიჯის დროულად გადადგმას კი შესაძლოა, ჰქონოდა კრიტიკული მნიშვნელობა მოვლენათა უფრო უმტკივნეულო სცენარით განვითარებისთვის.

ხელისუფლებამ თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს, რომელიც მას საჯარო ცხოვრებაში მანიფესტაციის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო ეკისრება. ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა, აქციის სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშლამდე, არ მიმართეს ყველა აუცილებელ ზომას (inter alia) და ამომწურავად არ გამოიყენეს მის ხელთ არსებული სხვადასხვა საშუალება, როგორიცაა - დიალოგის და მოლაპარაკების რესურსები, იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ შეკრების შეწყვეტა და სხვა თანმდევი შედეგები, რაც სამართალდამცავთა მხრიდან, აქციის დაშლისთვის, სპეციალური საშუალებების გამოყენების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს.

20-21 ივნისის აქციის დაშლისას არაპროპორციული ძალის გამოყენება

20 ივნისის ღამეს, დაახლოებით 23:56 წუთზე სამართალდამცავებმა აქციის დაშლისთვის განკუთვნილი სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყეს. სპეცსაშუალებების გამოყენება დაიწყო აქციის მონაწილეთა გაფრთხილების და მათთვის გარკვეული დროის მიცემის გარეშე. შსს თავის წერილში განმარტავს, რომ სიტუაციის სიმძიმიდან და საფრთხის მყისიერებიდან გამომდინარე, აზრს

[23] იხ. https://bit.ly/2kbTWZw ; ბოლო ნახვა 09/28/2019

მოკლებული და შეუძლებელი იყო წინასწარი გაფრთხილება, რაც, მათი შეფასებით, მსგავს სიტუაციებში, ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებს შეესაბამება.

აღნიშნული შეფასება არგუმენტაციას არის მოკლებული. მოვლენათა ანალიზი და აქციის მიმდინარეობისას გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ უშუალოდ დარბევის დაწყებამდე არსებული სიტუაცია, ამ დღეს განვითარებულ მოვლენებთან შედარებით, არ გამოირჩეობდა განსაკუთრებული ინტენსივობით და აქციაზე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით დაწყებული იყო კონსულტაციები. ცალკეული პოლიტიკოსები ცდილობდნენ, საკუთარი განცხადებებით დაემშვიდებინათ მომიტინგეები. შსს, საკუთარ წერილში, ასევე, აპელირებს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ მოწოდებაზე და მინისტრ გახარიას სატელევიზიო ინტერვიუებზე, როცა ამ გზით მომიტინგეებს მოუწოდეს დამორჩილებოდნენ პოლიციის მოთხოვნას. თუმცა, ცხადია ეს ვერ ჩაითვლება უშუალოდ აქციაზე მყოფ მოქალაქეთა გაფრთხილების ვალდებულების შესრულებად. შესაბამისად, სამართალდამცველებმა სპეციალური საშუალებით აქციის დაშლა დაიწყეს კანონის მოთხოვნის დარღვევით.

პირველად, ე.წ. ცრემლსადენი გაზის გამოყენებით სპეციალური დანაყოფის რაზმი შეეცადა დემონსტრანტების დაშლას, მაგრამ გასროლა განხორციელდა პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს მდგომი მშვიდობიანი მომიტინგეების მხარეს, რასაც დაახლოებით 00:14 საათისთვის რეზინის ტყვიების სროლაც მოჰყვა. სპეციალური საშუალებების გამოყენებისას, დასაწყისში, მომიტინგები დაიფანტნენ, რა დროსაც უმეტესმა ნაწილმა, მიმდებარედ - 9 აპრილის პარკის მიმართულებით გადაინაცვლა. მოგვიანებით მათი ნაწილი კვლავ პარლამენტის წინ დაბრუნდა, რასაც სპეცრაზმის მიერ რეზინის ტყვიების დამიზნებით სროლასთან ერთად თან სდევდა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტებიც. სპეცრაზმელთა მიერ დემონსტრანტების მიმართულებით დამიზნებით სროლის ზოგიერთი ფაქტი მედიასაშუალებებმა გადაიღო და მალევე მთელ საზოგადოებაში გავრცელდა.

აქციის მონაწილეებმა რამდენჯერმე სცადეს პარლამენტის წინ თავდაპირველ პოზიციებზე დაბრუნება, რისი საშუალებაც მოგვიანებით ადგილზე განლაგებულმა სპეცრაზმმა და სპეციალურმა ტექნიკამ არ მისცათ. მომდევნო ერთი საათის განმავლობაში სპეცრაზმმა მთლიანად დაიკავა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, ხოლო მომიტინგეები სასტუმრო „თბილისი მარიოტის“ წინ განლაგდნენ. ამ დროისათვის რეზინის ტყვიების გამოყენება ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქციის მონაწილეები სამართალდამცავთა მიმართულებით ცდილობდნენ გადაადგილებას. სპეცრაზმი აქტიურად იყენებდა ე.წ. წიწაკიან და ცრემლსადენ გაზსაც, რაც ქარის მიმართულების გამო მალევე ბრუნდებოდა სამართალდამცავთა მხარეს და სპეცაღჭურვილობის გარეშე მყოფ პოლიციელებს განსაკუთრებით ურთულებდა საქმიანობას. მალევე სპეცრაზმმა წყლის ჭავლის გამოყენება დაიწყო. თუმცა აღნიშნულს წინ უსწრებდა სპეციალური ხმის გამაძლიერებლით მომიტინგეთა გაფრთხილება.

აქციის დაშლისთვის გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიებების გამოყენება მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც ათეულობით ადამიანის მძიმე ფიზიკური დაზიანება მოჰყვა: 240-მა პირმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება, ძირითადად - სახის არეში. იმ ღამით მხედველობა დაკარგა სამმა ადამიანმა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 38 ჟურნალისტი დაშავდა.

აქციის დაშლისას დააკავეს 305 მონაწილე, რომლებიც დაკავების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობენ.

ა) რეზინის ტყვიების გამოყენება

20 ივნისის მიტინგის დაშლისას, პრობლემა იყო სპეციალური საშუალებების, განსაკუთრებით კი - რეზინის ტყვიების არადიფერენცირებული გამოყენება.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით დადგენილია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად შესაძლოა, გამოიყენონ სპეციალური საშუალებები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის გაზი, წყალსატყორცნი, აკუსტიკური მოწყობილობა, არალეტალური იარაღი და სხვა24. თუმცა, კანონი და საერთაშორისო პრაქტიკა იმთავითვე არ ხდის მათი გამოყენების შემთხვევებს კანონიერს, ინდივიდუალურ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, მომდინარე/მოსალოდნელი საფრთხეებისა და საჭიროებების შეფასების გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განმარტებების მიხედვით, რაც ამასთანავე, ნაკარნახევია საერთაშორისო დოკუმენტებში დეკლარირებული მოთხოვნებით, რეზინის ტყვიების გამოყენება, როგორც აქციის დაშლის უკიდურესი ღონისძიება, პარალელურად უნდა წარმოადგენდეს გამოსადეგ ღონისძიებას, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გაცხადებული კანონიერი მიზნის მიღწევას. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს დიფერენცირების პრინციპი, რაც მოთხოვნად აყენებს აქციაში მონაწილე პირების განსხვავებას ერთმანეთისაგან, მათგან მომდინარე საფრთხეებისა და იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებენ კონკრეტულ მომენტში. აგრეთვე, ზემოაღნიშნული საშუალებების გამოყენებისას უნდა არსებობდეს მკაფიო და სათანადო ინსტრუქციები, რომლებიც ხელს შეუწყობს პოლიციის მიერ მსგავსი საშუალებების გადამეტებული გამოყენებისაგან პრევენციას და დემონსტრანტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაყენებისაგან დაცვას. ამასთანავე, სახელმწიფოები დგანან ვალდებულების წინაშე, რომ პოლიციელთა მხრიდან არსებობდეს გარკვეული დოზით შემწყნარებლური დამოკიდებულება მშვიდობიანი შეკრების მიმართ, რათა ნაჩქარევი რეაგირებისა და არათუ გადამეტებული, არამედ ზოგადად, ლეგიტიმური ძალის გამოყენების შედეგადაც კი, დემონსტრანტებმა დაზიანებები არ მიიღონ.

აქციის დაშლისას, რეზინის ტყვიების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დარღვევით იყო გამოყენებული. პოლიციამ ეს სპეცსაშუალება გამოიყენა ვითარებაში, როცა მისი უკიდურეს ღონისძიებად გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა და, რაც მთავარია - გამოიყენა იმ დემონსტრანტების მიმართ, რომელთაგანაც კონკრეტულ/ინდივიდუალურ შემთხვევებში ძალადობის თუ სხვაგვარი ძალადობრივი ქმედებების განხორციელების რეალური და მყისიერი საფრთხე არ არსებობდა. განსაკუთრებული პრობლემა იყო რეზინის ტყვიების გამოყენება მოკლე დისტანციიდან, სახისა და თავის არეში დამიზნებით, რამაც დემონსტრაციის არაერთი მონაწილის ჯანმრთელობის მძიმე და ზოგ შემთხვევაში გამოუსწორებელი დაზიანება გამოიწვია.

[24] იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=23;

გაეროს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის მიხედვით, ნებისმიერი იარაღი, მათ შორის - არალეტალური ან ნახევრად ლეტალური, შეიძლება გახდეს სასიკვდილო თუ ის კონკრეტული ფორმით/მეთოდით იქნება გამოყენებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ანგარიშების ჭრილში აფასებს აღნიშნულ ღონისძიებათა გამოყენების თანაბარზომიერებას. კერძოდ, საქმეზე Giuliani და Gaggio იტალიის წინააღმდეგ25, მოპასუხე სახელმწიფო სტრასბურგის სასამართლოს წინაშე იმით ასაბუთებდა კარაბინერების მიერ დემონსტრაციის დაშლისას რეზინის ტყვიების გამოყენების აკრძალვას, რომ რეზინის ტყვია შეიძლება მომაკვდინებელი იყოს, თუ 50 მეტრზე ნაკლები მანძილიდანაა გასროლილი (განაცხადი no. 23458/02, დიდი პალატის 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, 205-ე პუნქტი). მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ირლანდიაში რეზინის ტყვიებმა სამჯერ სასიკვდილო შედეგი, ერთ ან ორივე თვალში დაბრმავების და სხვა მძიმე დაზიანების ურიცხვი შემთხვევები გამოიწვია, 1970-1975 წლებში, გაერთიანებულმა სამეფომ რეზინის ტყვიების გამოყენება შეწყვიტა და ისინი პლასტმასის ტყვიებით ჩაანაცვლა. ამასთან, გაერთიანებულ სამეფოში რეზინის ტყვიის პირდაპირ დამიზნება დაუშვებელი იყო და იგულისხმებოდა, რომ იგი მხოლოდ რიკოშეტით შეიძლებოდა ასხლეტილიყო. გაერთიანებული სამეფოს აღნიშნული პრაქტიკა რეზინის ტყვიებთან დაკავშირებით აღწერილია საქმეზე Kathleen Stewart გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1984 წლის 10 ივლისის განჩინება)26. აღნიშნული იარაღის გამოყენებამ, ასევე, შესაძლოა, გამოიწვიოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის პრინციპის დარღვევა.

ბ) ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი

აქციის დაშლისას გამოყენებული იყო ცრემლსადენი გაზიც, რაც არ ითვლება ქიმიურ იარაღად, 1993 წლის 13 იანვრის პარიზის კონვენციის მიხედვით, რომლის რატიფიკაციაც საქართველომ 1997 წლის 29 აპრილს მოახდინა27. იმავე შეფასებას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მაგრამ იგი ცალსახად აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენება ყველა შემთხვევაში დასაშვებია და უსაფრთხოა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ცრემლსადენი გაზი განურჩეველი მოქმედების საშუალებაა და არ განასხვავებს დემონსტრანტებსა და არადემონსტრანტებს, ჯანმრთელ და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აფასებს ცრემლსადენი გაზისა და წიწაკის გაზის გამოყენების მიზანშეუწონლობას. საქმეში - „Oya Ataman თურქეთის წინააღმდეგ“28 სასამართლომ განმარტა, რომ ამ საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული

[25] იხ https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-104098%22]};
[26] იხ. APPLICATION N° 10044/82 - Kathleen STEWART v/the UK - DECISION of 10 July 1984 on the admissibility of the application
[27] იხ. “Convention on the Prohibition of the Development, Production, Stockpiling and Use of Chemical Weapons and on their Destruction”
[28] იხ. https://policehumanrightsresources.org/oya-ataman-v-turkey-74552-01

დიდი რისკის გამო, მათი გამოყენება მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით უნდა მოხდეს - მაშინ, როდესაც ყველა სხვა ნაკლებინტერვენციული ღონისძიებაა გამოყენებული, სიტუაციის დეესკალაციისათვის.

აგრეთვე, უმნიშვნელოვანესია, სპეცსაშუალებების გამოყენების წინ დაცული იყოს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, დემონსტრანტები გაფრთხილებული უნდა იყვნენ სპეცსაშუალებების გამოყენების თაობაზე და ჰქონდეთ ღია/თავისუფალი სივრცე, რათა დატოვონ ტერიტორია, სადაც მას იყენებენ.

20-21 ივნისის აქციის დაშლისას არ მომხდარა მომიტინგეთა წინასწარი გაფრთხილება, აღნიშნული საშუალებების გამოყენების თაობაზე და შესაბამისად, ცალკეულ მონაწილეებს არ მიეცათ საშუალება, სურვილის შემთხვევაში, წინასწარ დაეტოვებინათ დაშლის ადგილი. გარდა ამისა, მაშინაც, როდესაც წიწაკის ან ცრემლსადენი გაზი გამოიყენება ღია სივრცეში, წამების საწინააღმდეგო კომიტეტს სერიოზული დათქმები აქვს. კერძოდ, თუ გამონაკლის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ გამოყენებული იქნეს ცრემლსადენი ან წიწაკის გაზი, უნდა არსებობდეს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მკაფიოდ განსაზღვრული გარანტიები. მაგალითად, იმ პირებს, რომლებიც დაექვემდებარნენ ამგვარი გაზის მოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ექიმზე და უნდა შესთავაზონ ანტიდოტი.

20-21 ივნისის შეკრების მონაწილეთა მიდევნება

20 ივნისის შეკრების მონაწილეთა დაკავებები, თავდაპირველად, დაიწყო საქართველოს პარლამენტის წინ მდგომი დემონსტრანტების წინა რიგებში, მას შემდეგ, რაც დემონსტრანტთა გარკვეულმა ჯგუფმა პარლამენტში შესვლის მიზნით პოლიციის კორდონის გარღვევა სცადა. პოლიციელებმა და სპეცრაზმელებმა მოქალაქეები პირველად 20 ივნისის 23:00 საათისთვის დააკავეს. შემდეგი ადმინისტრაციული დაკავებები კი მოგვიანებით, აქციის დაშლის დაწყების შემდეგ, ღამის 2 საათზე განხორციელდა, როდესაც თავისუფლების მოედანსა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლებმა არაერთი პირი დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით. მასობრივი დაკავებები კი, 21 ივლისის 04:00 საათიდან დაიწყო, აქციის ძირითადი ლოკაციისგან შორს - დემონსტრანტთა დაკავებები მიმდინარეობდა უკვე არა საქართველოს პარლამენტის წინ, არამედ რუსთაველის მეტროსა და მელიქიშვილის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დემონსტრანტებმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან გადაინაცვლეს მას შემდეგ, როცა იქ განლაგდნენ პოლიციელები და სპეცრაზმელები. ეს ფაქტი, მთლიანი შემთხვევის შესაფასებლად, უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მატარებელია, ვინაიდან დემონსტრანტთა ინტენსიური დაკავებები სწორედ გვიან ღამით და შემდგომში - გამთენიისას, განხორციელდა ტერიტორიებზე, სადაც აქცია არ მიმდინარეობდა. ეს დაკავებები, არაერთ მიზეზთა გამო, პრობლემურია.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ის ფაქტი, თუ დემონსტრანტთა მიერ დაკავებული ტერიტორიის კონკრეტულად რა ნაწილის გათავისუფლება ჰქონდა დაგეგმილი პოლიციას, ვინაიდან შსს-მ აქციის დაშლის ძირითად მიზეზად,

ძალადობის საფრთხესთან ერთად, პარლამენტის შენობის მომიტინგეებისგან დაცვაც დაასახელა. დაკავების ძირითადი არეალი კი პარლამენტის შენობიდან შორს, მელიქიშვილის გამზირის მიმდებარე ტერირორიაზე იყო. ამ ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აქციის დაშლის ბრძანების შინაარსი, რომელიც არ გამხდარა საზოგადოებისთვის ცნობილი. რამდენიმე დღის განმავლობაში, საზოგადოებისთვის ასევე უცნობი იყო აქციის დაშლის ბრძანების გამცემი პირის ვინაობაც. მოგვიანებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი გახარიამ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ აქციის დაშლის შესახებ ბრძანება პირადად გასცა29. ამის მიუხედავად, თავად ბრძანების შინაარსი საზოგადოებისთვის კვლავ არ არის ცნობილი, რასაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სამართალდამცავთა ქმედების სხვადასხვა ეპიზოდების შესაფასებლად. ბრძანებაში ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, თუ რა ტერიტორიის გათავისუფლება ევალებათ სამართალდამცველებს. მოცემულ შემთხვევაში, საერთოდ უცნობი და ხელმიუწვდომელია ბრძანების შინაარსი, რითაც, კონკრეტული დროის ინტერვალსა და კონკრეტულ, წინასწარ განსაზღვრულ სივრცეში უნდა ეხელმძღვანელათ სამართალდამცველებს 20 ივნისის აქციის დაშლისა და პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლებისას. აღნიშნული სამოქმედო გეგმის გარეშე მოქმედება, რა თქმა უნდა, ზრდის ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში უხეშად ჩარევის რისკს. ეს პარალელურად, ხელს უშლის პროპორციული ძალის გამოყენების შერჩევისა და რისკების შეფასების პროცესს, რამაც შესაძლებელია, გაუმართლებელი და ჭარბი ძალის გამოყენება გამოიწვიოს, რაც სამწუხაროდ, ხელისუფლებამ თავიდან არ/ვერ აირიდა 20-21 ივნისის აქციის დაშლისას.

ის ფაქტი, რომ პარლამენტის წინ მდგომი დემონსტრანტებიდან გარკვეული ჯგუფი გამოირჩეოდა ძალადობრივი მოქმედებებით, რომელთა შესაჩერებლადაც, პარლამენტის დაცვისა და ძალადობრივი ქმედებების პრევენციის არგუმენტით, სამართალდამცველებმა ძალა გამოიყენეს, არ ამართლებს სხვა დემონსტრანტების მიმართ განხორციელებულ ე.წ. „ნადირობას“, რომელიც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან მოშორებით - რუსთაველის მეტროს, მელიქიშვილის გამზირსა და თავისუფლების მოედანზე განხორციელდა, რაც მომიტინგეთა დაკავებებით დასრულდა. ამ მხრივ, განსაკუთრებული კრიტიკის საგანია ის, რომ სამართალდამცველების მხრიდან არ გაკეთებულა არცერთი მოწოდება და განმარტება, რა ტერიტორიის გათავისუფლებას ითხოვდნენ ისინი და რომელი მიმართულებით გადაადგილების შემთხვევაში არ იქნებოდნენ დემონსტრანტები, მათი შეფასებით, საფრთხის მატარებლები და არ ჩაითვლებოდა კონკრეტულ ლოკაციაზე მათი ყოფნა კანონდარღვევად. ფაქტია, სრულიად მშვიდობიანი დემონსტრანტები მათ საფრთხის მატარებლად მიიჩნიეს, ვინაიდან, სხვა მხრივ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სამართალდამცველთა მხრიდან, დემონსტრანტების ამ ნაწილის მიმართ გამოყენებული სრულიად შეუსაბამო, არადიფერენცირებული და არაპროპორციული ძალა, რამაც უხეშად დაარღვია დემონსტრანტთა უფლებები და თავისუფლებები.

დაკავებები გამოირჩეოდა ძალადობრივი, მასობრივი და არაინდივიდუალური ხასიათით, რაც ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი ძალის დემონსტრირების

[29] იხ. https://bit.ly/2ocQ2l2

უმწვავესი მაგალითია. ამით დარღვეულია სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები, რომელთა განუხრელად დაცვისაკენ უნდა იყოს მიმართული მის მიერ კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ ფარგლებში გადადგმული თითოეული ნაბიჯი.

სამართალდამცავებმა გამოიყენეს არაპროპორციული ძალა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, მათ შორის - ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები, საკუთარი თავის ან/და პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასაკავებლად, თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულებას30. 20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს კი, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებითა და დაკავებულთა მიერ გავრცელებული კადრები, ასევე - ინფორმაცია დაკავებულთა ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე, პოლიციელთა სავარაუდო სისხლისსამართლებრივ და დისციპლინურ გადაცდომებზე მიუთითებს.

დაკავებების მასობრივ ხასიათზე მიუთითებს ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, სხვადასხვა სამართალდარღვევის ბრალდებით, დაკავებულია აქციის 305 მონაწილე.

21 ივნისს ადგილი ჰქონდა თვითნებურ და უკანონო დაკავებებს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცველებმა გამოიყენეს არაპროპორციული ძალა. შემაშფოთებელია, რომ დაფიქსირდა შეკრების მონაწილეების ცემისა და ღირსების შელახვის არაერთი ფაქტი მაშინაც კი, როცა ისინი უკვე პოლიციის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იყვნენ და ამდენად, არ წარმოადგენდნენ რაიმე საფრთხეს.

შსს-ს ინფორმაციით, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა სამინისტროს 11 მოსამსახურეს. ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობის გამოყენებით გადამეტების ბრალდება წარედგინა 3 სამართალდამცველს, რაზეც გამოძიებას აწარმოებს საქართველოს გენერალური პროკურატურა31.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქციის მონაწილეთა მასობრივი დაკავებები ღამის ოთხი საათის შემდეგ, რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო, რა დროსაც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, მასთან მისასვლელი და რუსთაველის გამზირის ნაწილი მომიტინგეთაგან სრულიად თავისუფალი იყო. რუსთაველის თეატრთან განლაგებულმა სპეცრაზმმა კი დაიწყო მომიტინგეთა მიდევნება/მიყოლა რესპუბლიკის მოედნისაკენ, რა დროსაც ისინი ინტენსიურად იყენებდნენ ცრემლსადენ გაზს, წყლის ჭავლსა და რეზინის ტყვიებს. ამის პარალელურად, სპეცრაზმს პოლიციის თანამშრომელთა ნაწილი გამოეყო, რომელთაც მასობრივი, უკანონო დაკავებები დაიწყეს. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან დემონსტრანტების მიმართულებით დაძრულ/მიდევნებულ სამართალდამცველებს

[30]იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი;

[31] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრს MIA 4 19 02478594 18/09/2019

არ გაუკეთებიათ განჭვრეტადი და მკაფიო მოწოდება იქ მყოფი პირებისთვის, რაც სრულიად ბუნდოვანს ხდის, რაში მდგომარეობდა პოლიციის მოთხოვნა და რა ტერიტორიის დატოვებას ითხოვდნენ დემონსტრანტებისგან.

ამასთანავე, პოლიცია, დაკავებების დროს, კანონის უხეში დარღვევით მოქმედებდა, კერძოდ, ინდივიდუალური ბრალეულობითა და პასუხისმგებლობით არ ხელმძღვანელობდა, რაზეც პირდაპირ მიუთითებს დამკავებელი პოლიციელების მიერ დემონსტრანტთა დაკავებისა და სამართალდარღვევების ოქმების სრულიად იდენტური შინაარსი, ყოველგვარი განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების გარეშე, ან/და რაიმეს მითითების გარეშე, რაც პირის მიერ ჩადენილ ადამინისტრაციულ სამართალდარღვევას დაამტკიცებდა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად კი, სამარათალდამცველი ორგანოს წარმომადგენელი ვალდებულია, მიუთითოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ქმედების არსზე32.

სამწუხაროდ, სახელმწიფომ დაკავებებისას ვერ უზრუნველყო დაეცვა პროპორციულობის სტანდარტი. საბოლოო ჯამში კი, დაკავებებისას განხორციელებულმა პროცესებმა, არაერთ შემთხვევაში, მოქალაქეთა თავისუფლების თვითნებური აღკვეთის ხასიათი მიიღო.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ დარღვევებზე არ არის საკმარისი და პროპორციული. შესაბამისად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევები ზუსტად და ობიექტურად უნდა გამოიძიოს და შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისროს როგორც აქციის დაშლის დაგეგმვაზე პასუხიმგებელ პირებს, ასევე - იმ სამართალდამცველებს, რომლებმაც დაარღვიეს კანონი. ხოლო იმ საქმეებში, სადაც დაზარალებულებს ჟურნალისტები წარმოადგენენ, გამოძიებამ ყურადღება გაამახვილოს ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლაზე.

ამ დრომდე არ დაწყებულა დამოუკიდებელი გამოძიება, რომელიც სამართალდამცავთა მიერ განხორციელებულ თვითნებურ და უკანონო დაკავებებს და დაკავებულთა მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს გამოიძიებდა.

[32] იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლი;

IV. ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა

კრიზისულ სიტუაციებში განსაკუთრებულ როლს იძენს ჟურნალისტური საქმიანობის მნიშვნელობა, რამდენადაც დემონსტრაციებისა და საერთო სახალხო მღელვარებისას მოვლენათა გაშუქება არა მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებულობას უწყობს ხელს, არამედ მას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისთვისაც. მედიის მიერ ინფორმაციის ზუსტი, დროული და ამომწურავი გაშუქება შეიძლება პოზიტიურად აისახოს კრიზისული სიტუაციების აღმოფხვრაზე, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება ჰქონდეს პრევენციული მნიშვნელობაც სახელმწიფოს მხრიდან ძალის გადამეტების თავიდან არიდების კუთხით. შესაბამისად, ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, სხვადასხვა ფორმით რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია მედიის წარმომადგენლებს მიმდინარე მოვლენების შესახებ და ასევე უზრუნველყონ ჟურნალისტთა უსაფრთხოება.

შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი ცალსახად უთითებს, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ყველა ტიპის შეკრების მიმართ მედიის ხელმისაწვდომობა. სამართალდამცავები და ორგანიზატორები ვალდებულნი არიან, საჯარო დემონსტრაციების მიმდინარეობისას ხელი არ შეუშალონ ჟურნალისტებს საკუთარი პროფესიული ფუნქციების შესრულებაში33.

სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ცენტრი განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებს 20-21 ივნისის აქციის დაშლისას სამართალდამცავთა მიერ მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალის გადამეტების ფაქტებს და პროფესიული საქმიანობის ხელშეშლას. სამწუხაროდ, სახელმწიფომ თავი ვერ გაართვა საკუთარ ვალდებულებას ვერც ჟურნალისტთა დაცვის და ვერც კონკრეტულ სამართალდარღვევებზე ადეკვატური რეაგირების კუთხით. კონკრეტულ შემთხვევებში სამართალდამცავებს ჰქონდათ ჟურნალისტების იდენტიფიცირების და მომიტინგეებისაგან განსხვავების შესაძლებლობა (ე.წ. PRESS ჟილეტების, შესაბამისი ბეიჯებისა და სპეციფიკური აპარატურის მეშვეობით). ამის მიუხედავად ისინი მაინც გახდნენ სამართალდამცავთა ძალის გადამეტების მსხვერპლნი და, ხშირ შემთხვევაში, უკანონო ქმედებების სამიზნეები. ეს კი შესაძლებელია, შეფასდეს არა მხოლოდ როგორც ძალის გადამეტება, არამედ როგორც ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე თავდასხმა. ხელისუფლებამ ამჯერადაც ვერ უზრუნველყო საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულება და ჟურნალისტთა ეფექტური დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, მედიის Watch Dog როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ სიტუაციებში. მედიაგაშუქება გარანტიაა იმისა, რომ ხელისუფლებას შეიძლება, დაეკისროს პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებებისათვის, დემონსტრანტთა და მთლიანი საზოგადოების წინაშე, როცა საქმე ეხება მასობრივ შეკრებებში საპოლიციო ჩარევას, მათ შორის - მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ მომიტინგეთა გასაკონტროლებლად ან მათ დასაშლელად ანდა საზოგადოებრივი წესრიგის

[33] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

დასაცავად. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტების განრიდების ნებისმიერი მცდელობა დემონსტრაციის ადგილებიდან, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მკაცრ შემოწმებას ექვემდებარება. თავის მხრივ, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიები ჟურნალისტებისთვის ექვემდებარება პირობას, რომ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყონ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის, პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის პრინციპის შესაბამისად34.

20-21 ივნისს, აქციის დაშლისას, შსს-ს მიერ ძალის გადამეტებისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების მსხვერპლთა შორის, აქციის მონაწილეებთან ერთად, იყვნენ მედიის წარმოამდგენლებიც, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ინფორმაციით, 20 ივნისს აქციის დაშლისას, მედიის 38 წარმომადგენელი დაშავდა. დაშავებულების ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი სიმბოლიკა, რაც მათ პროფესიას აღნიშნავდა, სპეცრაზმი მათ მაინც დამიზნებით უშენდა რეზინის ტყვიებს35.

აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათში პარლამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის შენობის უსაფრთხოებაზე მანდატურის სამსახურთან ერთად, დაცვის უზრუნელყოფის ღონისძიებებში ჩაერთო სახელმწიფო დაცვის სამსახური და შსს. პარლამენტში მისულმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა, ანზორ ჩუბინიძემ მედიის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პარლამენტის შენობა უნდა დაეტოვებინათ. როგორც უწყებაში განმარტავდნენ, ამის მიზეზი მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლების უსაფრთხოება იყო. მათ მედიას შენობიდან ტექნიკის გატანისკენაც მოუწოდეს. აღნიშნული გადაწყვეტილება გააპროტესტეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა და მოუწოდეს მედიის წარმომადგენლებს, არ დაეტოვებინათ შენობა36.

პოლიცია შენობიდან გამოსულ ჟურნალისტებსა და დეპუტატებს პარლამენტში შესვლის უფლებას არ აძლევდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტებს პარლამენტის შენობა ძალის გამოყენებით დაატოვებინეს37. ადგილი ჰქონდა სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლების სიტყვიერ შეურაცხყოფასა და არასათანადო მოპყრობას. „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტს გიორგი დიასამიძეს პოლიციელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ტექნიკა დაუზიანეს და ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში. იგი ინტერვიუში ასე აღწერს მომხდარს: „ფეისბუკის ლაივი მქონდა ჩართული და მაყურებელს ვუხსნიდი სიტუაციას, როცა ერთ-ერთი აგრესიულად განწყობილი პოლიციელი მომვარდა, დამაგდებინა ტელეფონი, მიმათრევდა და იძულებით მიპირებდა გაგდებას. ბეიჯს ვაჩვენებდი და მოვუწოდებდი, ნუ არღვევთ კანონს და ნუ მიშლით ხელს ჟურნალისტურ საქმიანობაში- მეთქი, ამის პარალელურად, ზოგიერთი პოლიციელი მაგინებდა და მირტყამდა. ბოლოს, ზურგში ჩამარტყა წიხლი ერთმა და ასე გამომაგდეს პარლამენტის ეზოდან. გადმომიგდეს ტელეფონიც“38.

---

[34] CoE - Thematic factsheet. Updated: August 2017- MEDIA COVERAGE OF PROTESTS AND DEMONSTRATIONS

[35]იხ. https://bit.ly/2n8XEUP ბოლო ნახვა: 9/25/2019

[36] https://imedinews.ge/ge/saqartvelo/109326/jurnalistebs-parlamentis-shenobas-atovebineben

[37] http://www.tabula.ge/ge/story/150781-tabulas-zhurnalisti-policiam-parlamentis-shenobidan-dzalis-gamokenebit-gaatria-video

[38] https://bit.ly/2Omcgxp

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი იცავს აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლებას. ეს უფლება გულისხმობს როგორც ინფორმაციის თავისუფლად მიღებას, ასევე მის დაუბრკოლებლად გავრცელების შესაძლებლობას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილი განმარტავს უფლების შეზღუდვის შესაძლო კონსტიტუციურ წინაპირობებს: „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

აქციის დარბევის საწყის ეტაპზე ჟურნალისტები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე იყვნენ მობილიზებულები, საიდანაც აშუქებდნენ მიმდინარე მოვლენებს. აქციის დაშლამდე სამართალდამცავებს ისინი სიტყვიერად არ გაუფრთხილებიათ და არ ჰქონიათ რაიმე სახის კომუნიკაცია უსაფრთხოების დაცვის მიზნით ტერიტორიის დატოვებასთან დაკავშირებით. მეტიც, დაზარალებული მედიის

წარმომადგენლების ნაწილი ცალსახად უსვამს ხაზს, რომ სამართალდამცავები დამიზნებით ესროდნენ რეზინის ტყვიებს და აყენებდნენ მათ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ჟურნალისტთა საქმიანობა პარლამენტის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების გაშუქებას და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, მათი საქმიანობის შეზღუდვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. ამავე დროს, „კონფლიქტურ და დაძაბულ სიტუაციებში ჟურნალისტთა დაცვის შესახებ“ ევროსაბჭოს R(96) 4 რეკომენდაცია პირდაპირ უთითებს, რომ ,,ჟურნალისტური საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელება პატივისცემით უნდა სარგებლობდეს კონფლიქტურ და დაძაბულ სიტუაციებში, რამდენადაც ასეთ დროს საზოგადოებრივი საქმეების თაობაზე ინფორმირებულობა და საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და სხვა მხარეების საქმიანობის შეფასების უფლება ცალკეული პირებისათვის, ისევე როგორც ზოგადად მთელი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კი ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს.

მედიის თავისუფლებაზე ეუთოს წარმომადგენელთა სპეციალური ანგარიშის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებს აქვთ კონსტიტუციური ვალდებულება, არ აკრძალონ ან არ შეზღუდონ ჟურნალისტური საქმიანობა საჯარო დემონსტრაციებისას. ჟურნალისტებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ პოლიციის მხრიდან, სამართლიანი და თავშეკავებული მოპყრობის მოლოდინი.

აღნიშნული ანგარიში რიგითი პოლიციელების ქმედებებსა და მის გადაცდომებზე პასუხისმგებლობას სტრუქტურის მაღალჩინოსნებს აკისრებს: „მაღალჩინოსნები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან რიგითი პოლიციელების ქცევაზე, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ოფიცერთა სათანადო გადამზადება ჟურნალისტთა როლისა და ფუნქციის შესახებ, განსაკუთრებით კი მათი როლის შესახებ დემონსტრაციებისას. პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევაში, ჟურნალისტთა მიმართ პოლიციელთა ქცევის საკითხი ცალკე უნდა იქნას განხილული, იმისგან

დამოუკიდებლად იყო დემონსტრაცია სანქცირებული თუ არა. აუცილებელია პოლიციის მაღალჩინოსანთა სწრაფი და ადექვატური რეაგირება მომავალში მსგავსი ინციდენტების გამორიცხვისათვის და მათი მხრიდან მძლავრი სიგნალის გავრცელება, რომ ხელისუფლება მსგავს ფაქტებს არ შეეგუება“39.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებისა და მათ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე დღემდე არ დაწყებულა სხვა დაზარალებულების საქმეებისაგან დამოუკიდებელი გამოძიება, რომელიც შესაბამისი საგამოძიებო პირობების ფარგლებში, საკითხის სენსიტიურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოახდენდა სისხლისსამართლებრივ საქმეზე შესაბამისი ეფექტიანი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელებასა და ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას თითოეულ ასეთ შემთხვევაზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, მსგავს ფაქტებზე მოკვლევა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. ამ დრომდე არ დაკმაყოფილებულა სამოქალაქო საზოგადოებისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მოთხოვნები, რომ პროკურატურას ძიება დაეწყო სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით, რომელიც ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა წერილობით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფი დაზარალებული ჟურნალისტების - ბესლან კმუზოვის (ინტერნეტ გამოცემა - кавказский узел) და მერაბ ცაავას (გურია News) საქმესთან დაკავშირებით და მოითხოვა მათი დაზარალებულად ცნობა40. პასუხად, გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მოკვლევა სსკ 333-ე მიუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით მიმდინარეობს და აღნიშნულ პირთა დაზარალებულად ცნობის საკითხი მტკიცებულებათა მოპოვების შემდგომ გადაწყდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებას გამოთქვამს გამოძიების ვადების მსგავსი გაჭიანურებისა და მის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დეფიციტთან დაკავშირებით. 20-21 ივნისს დაზარალებულ არცერთ ჟურნალისტს არ მინიჭებია დაზარალებულის სტატუსი, იმის მიუხედავად, რომ რიგ შემთხვევებში, მათ მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება მათ მიერვე იქნა გადაღებული და აღნიშნული კადრები ხელმისაწვდომია როგორც გამოძიებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის. შესაბამის ორგანოთა მსგავსი უმოქმედობა მიანიშნებს პოლიტიკური ნების დეფიციტზე, რაც ასევე ცალსახად გამოიკვეთა წარსულში აქციების დარბევის დროსაც (7 ნოემბერი, 26 მაისი) და, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. ასევე, შსს-ს არცერთ მაღალჩინოსანს არცერთ შემთხვევაში არ აუღია პასუხისმგებლობა სამართალდამცავთა მხრიდან ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე. ანგარიშვალდებულების დეფიციტი კი ხელს უშლის პრევენციას, რაც საქართველოში

[39] იხ. https://rm.coe.int/factsheets-demonstrations-final-rev1august2017/1680735d83
[40] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალოგიური საჯარო მიმართვა: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19973&lang=geo

მედიის წარმომადგენლებს კვლავაც მოწყვლადს ხდის მომავალში მსგავს სიტუაციებში, სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობისადმი.

V. აქციის მონაწილეთა დაკავებები და სასამართლო პროცესები

სახელმწიფოს მიერ საპოლიციო ძალების არაპროპორციული და განურჩეველი გამოყენების შედეგად, დაშავდნენ როგორც დემონსტრანტები, ასევე მშვიდობიანი, აქციის მიმდებარედ ქვეითად მოსიარულე მოქალაქეები და ჟურნალისტები. აქციის დაშლისას სპეცრაზმელებმა და საპოლიციო ძალებმა, კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, ასეულობით მოქალაქე დააკავეს. პოლიცია აკავებდა ნებისმიერ მოქალაქეს - ჩვეულებრივ, ქვეითად მოსიარულეებს (გამვლელები) და აქციის მონაწილეებს (დემონსტრანტები). დაკავებები მიმდინარეობდა პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების უხეში გადამეტებით, კერძოდ, დაკავებულ მოქალაქეებს უსწორდებოდნენ ფიზიკურად; ოჯახის წევრებისთვის უცნობი იყო, სად იმყოფებოდნენ დაკავებულები - პოლიციის რომელ განყოფილებასა და დროებითი დაკავების რომელ იზოლატორში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაკავებულთა სიმრავლისა და თბილისის იზოლატორებში ადგილების არქონის გამო, დაკავებულები გადაიყვანეს რეგიონებში არსებულ დროებითი დაკავების იზოლატორებშიც.

განსაკუთრებით პრობლემურია ის ფაქტი, რომ ყველა დაკავებულს, პირთა მიერ განხორციელებული ქმედებების ინდივიდუალური ხასიათის შეფასების გარეშე, ედავებოდნენ საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისათვის წინაღმდეგობის გაწევას. პოლიციელებს არცერთი დაკავებულისათვის არ განუმარტავთ დაკავების საფუძველი და მათი უფლებები. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს დაკავებულ პირთა საათობით ხელბორკილდადებული გაჩერება განყოფილებებსა თუ ავტომობილებში მანამდე, სანამ მიმდინარეობდა დანარჩენი დაკავებულებისათვის ადმინისტრაციულ - სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა.

დაკავებულთა სასამართლო პროცესები გაიმართა 2019 წლის 21 ივნისს. სასამართლოში, თავდაპირველად, საქმეს განიხილავდა ორი მოსამართლე. მოგვიანებით კი, დაკავებულთა სიმრავლის გამო, საქმის განხილვა დაიწყეს სხვა სპეციალიზაციის მოსამართლეებმაც.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ერთ-ერთია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომელიც აქტიურად ადევნებდა თვალს განვითარებულ მოვლენებს, ხოლო დაკავებების შემდგომ პერიოდში, ცენტრის იურისტები იცავდნენ დაკავებულ პირთა ინტერესებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. მათი ძალისხმევით არაერთი პირი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლოს მიერ, ზოგიერთი მათგანის მიმართ კი, ცენტრის იურისტების მოთხოვნის შესაბამისად, სასამართლომ შეწყვიტა დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესები

სასამართლოში განვითარებული მოვლენები, თავისი ინტენსივობისა და დროში განვითარების მიხედვით, პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ეტაპად:

I ეტაპი

დაკავებულთა სიმრავლის გამო, პირველ ეტაპზე, მოსამართლეები სხვადასხვა საქმეებს აერთიანებდნენ და რამდენიმე დაკავებულის საქმეს ერთდროულად განიხილავდნენ. ამან, სასამართლო ეტაპზე, მართლმსაჯულების მკვეთრად დაბალი ხარისხი განაპირობა, რაც არღვევს პირის კონსტიტუციურ უფლებას, ისარგებლოს ეფექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებით. დამავებულთა სიმრავლე და მოსამართლეთა არასაკმარისმა რაოდენობამ მნიშვნელოვნი პრობლემები შექმნა. მსგავსი საქმეების განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მოსამართლეები ცდილობდნენ ამ ვადების დაცვას, რამაც ცხადია მართლმსაჯულების ხარისხზე ნეგატიური გავლენა იქონია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, ყოველ პირს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. შესაბამისად, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდული ვადები, ვერ და არ ამართლებს დაცვის უფლების მსგავს დაკნინებას. ამასთან, ადვოკატებსა და ოჯახის წევრთათვის დიდი ხნით გაურკვეველი იყო დაკავებულთა ადგილსამყოფელი, ხოლო დაკავებულთა უმრავლესობას ადვოკატი საერთოდ არ ჰყოლიათ. სასამართლოს კანცელარია არ გასცემდა ინფორმაციას, იყვნენ თუ არა ისინი მიყვანილი სასამართლოში. საქმის გაცნობა პირდაპირ სასამართლო პროცესებზე მიმდინარეობდა, დაკავებულებს არ ჰქონდათ თავიანთ ადვოკატებთან წინასწარი კომუნიკაციის დრო და შესაძლებლობა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს.

ასევე, პროცესზე გამოდიოდნენ ის პოლიციელები, რომლებსაც მათ დაკავებაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული, მაგრამ მათი შედგენილი იყო დაკავების ოქმები. დაკავებულთათვის პროცესუალური გარანტიების არარსებობას, სასამართლოსთვის ხელი არ შეუშლია, განეხილა მათი საქმეები და თითქმის ყველა შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მიეღო გადაწყვეტილება. პირველ ეტაპზე, მოსამართლეთა გადაწყვეტილების უმრავლესობა იდენტური იყო და ყველა დაკავებულს 12-დან 14 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა ეფარდებოდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის დროს, პატიმრობის შეფარდებისას, სასამართლო მხოლოდ დამკავებელი პოლიციელის ახსნა-განმარტებას ეყრდნობოდა. თავდაპირველად მოსამართლე არ ითვალისწინებდა სხვა თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებს. ამასთან, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა თავად პოლიციელთა მიერ მიცემული ჩვენებების ვალიდურობის საკითხი. ვერც ერთი მათგანი ვერ პასუხობდა, რეალურად სად დააკავეს ან რაში გამოიხატა დაკავებულთა მხრიდან პოლიციის მიმართ წინააღმდეგობა ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. პოლიციელების მიერ სასამართლოზე წარდგენილი სამართალდარღვევის ოქმების იდენტურობა, რომელიც მხოლოდ დაკავებულთა საიდენტიფიკაციო მონაცემებით განსხვავდებოდა, კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს ბრალის სიზუსტესა და სასამართლოს მიერ მიღებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებათა კანონიერებას. დაკავებულების უმრავლესობა აცხადებდა, რომ

პოლიციელები აქციის დაშლის მომენტიდან განურჩევლად იჭერდნენ მშვიდობიან და არამშვიდობიან დემონსტრანტებს და შეჰყავდათ პარლამენტის შენობის ეზოში, სადაც იძულებით სვამდნენ ავტობუსებში ან გადაჰყავდათ განყოფილებებში, შემდეგ კი ადგენდნენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. დაკავებულთა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა ოქმზე მოეწერა ხელი, რაც იწვევდა პოლიციელთა გაღიზიანებას, სამართალდამცველები კი, ცდილობდნენ იძულებით მოეწერინებინათ ხელი დაკავების ოქმებზე. დაკავებულთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ ისინი დააკავეს სპეცრაზმელებმა და არა იმ პოლიციელებმა, რომლებიც სასამართლო პროცესებზე გამოდიოდნენ. სწორედ ამით იყო გამოწვეული პოლიციელთა არათანმიმდევრული და გაუგებარი ჩვენებები, ვინაიდან ვერ ასახელებდნენ ვისთან ერთად იყო მათ მიერ დაკავებული პირი ან სად მოხდა მათი დაკავება, რას აკეთებდა, რა სახის წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, ან რა სახით არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. შეიძლება ითქვას, 21 ივნისის დილის 10 საათიდან შუადღის 16 საათამდე მიმდინარე სამართლებრივი პროცესები ყველაზე მძიმე იყო და ყველაზე მეტი სამართალდარღვევით გამოირჩეოდა.

II ეტაპი

17:00 საათიდან, საქმეების განმხილველ მოსამართლეთა რიცხვი სხვა კოლეგიის მოსამართლეების დახმარებით გაიზარდა, რამაც პროცესის გაჯანსაღებას შეუწყო ხელი. პირველი ეტაპის მსგავსად, საქმეების გაერთიანება მეორე ეტაპზეც გაგრძელდა, მაგრამ მოსამართლეებმა დაიწყეს საქმეთა განხილვა და ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებათა გამოკვლევა ინდივიდუალურ დონეზეც. ამასთანავე, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საქმის მოსმენა გადაიდო იმ მოტივით, რომ პროცესზე ესწრებოდნენ არა დამკავებელი, არამედ ოქმის შემდგენი პოლიციელები. ამ ეტაპზე, საქმეში ჩაერთვნენ უფლებადამცველები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციიდან, მათ შორის ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები, ასევე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოხალისე წევრები, რომლებიც უფასო იურიდიულ დამხარებას უწევდნენ დაკავებულებს. ამან პროცესის სამართლებრივ ჩარჩოში დააბრუნებას შეუწყო ხელი. შესაბამისად, სასამართლო პროცესების გადადებაც გახშირდა, რის მთავარ მიზეზად მოსამართლეების მიერ სახელდებოდა მხარეთათვის შესაძლებლობის მიცემა, წარმოედგინათ დამატებითი მტკიცებულებები, ან/და მოეყვანათ მოწმეები პროცესზე. საქმის გადადების დროს, მოსამართლეები დაკავებულებსაც ათავისუფლებდნენ ადმინისტრაციული პატიმრობიდან.

III ეტაპი

მესამე ეტაპზე, დაახლოებით საღამოს 21:00 საათიდან, სასამართლოს მიდგომა დაკავებულთა მიმართ რადიკალურად შეიცვალა. მოსამართლეები ითხოვდნენ მტკიცებულებების წარმოდგენას; ასევე, რაც აღსანიშნავი ფაქტია, არ ხდებოდა მხოლოდ პოლიციელთა არათანმიმდევრული ჩვენებების გაზიარება. ადმინისტრაციული პატიმრობა შეიცვალა 1000-ლარიანი ჯარიმით ან შენიშვნის გამოცხადებით. არაერთი საქმის მოსმენა გადაიდო იმ მოთხოვნით, რომ პროცესზე გამოცხადებულიყვნენ უშუალოდ ის პოლიციელები, რომლებმაც დააკავეს

ბრალდებულები. ასევე დაცვის მხარეს ეძლეოდა შესაძლებლობა, წარმოედგინა დამატებითი მტკიცებულებები.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ 20-21 ივნისს მიმდინარეობდა მოქალაქეებზე ე.წ. „ნადირობა“ პოლიციის და სპეცრაზმელების მიერ. დაკავებულთა შორის ძალიან ბევრი აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომლებიც საერთოდ არ ყოფილა აქციაზე და იყო უბრალო გამვლელი. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც, როცა სპეცრაზმელებმა დააკავეს პირი, რომელიც ახლომდებარე კვების ობიექტიდან გამოდიოდა და არანაირ შემხებლობაში არ იყო აქციასთან, არათუ სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას შეუფარდა 1000-ლარიანი ჯარიმა და გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ დამკავებელი პოლიციელის ჩვენებას.

აქციის დაშლისას დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესებმა ცხადყო ბრალდების მხარის მოუმზადებლობა და თავად ბრალის სისუსტე. სასამართლო ხელისუფლება, ასევე, მოუმზადებელი შეხვდა შექმნილ ექსტრაორდინალურ სიტუაციას. რესურსების სიმწირისა და ფორსმაჟორული სიტუაციის პირობებში, სასამართლომ ვერ გაუძლო მის წინაშე არსებულ გამოწვევას. სასამართლო საქმეებს ზედაპირულად განიხილავდა, არ ახდენდა წარდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევა/შეფასებას და არ ცდილობდა მათი კავშირის დადგენას საქმესთან, რითაც დაირღვა მრავალი ადამიანის კონსტიტუციური და კონვენციით გათვალისწინებული დაცვის უფლება.

VI. დასკვნა

20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო იმ სავალალო შედეგების თავიდან აცილება, რაც ამ მოვლენებს სდევდა თან და რამაც კიდევ უფრო გააღრმავა პოლარიზაცია ქართულ საზოგადოებაში. საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოქალაქეებზე ძალის გადამეტებისა და ძალადობის არაერთი ფაქტი.

შედეგად, პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად, ქვეყანამ მიიღო პრემიერად დაწინაურებული შინაგან საქმეთა მინისტრი, ოპოზიციონერი ლიდერების წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, პატიმრობაში მყოფი არაერთი მომიტინგე და უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 20-21 ივნისის მოვლენებმა ახალი პოლიტიკური დღის წერიგი უკვე შექმნა და ქართული - ეროვნული კონსოლიდაცია რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ყველა პოლიტიკური ძალისთვის თვალსაჩინო გახდა. აღნიშნული მოვლენების გავლენა, სავარაუდოდ, კიდევ დიდი ხნის

განმავლობაში იქნება ქართული რეალობის განუყოფელი ნაწილი.

სამწუხაროდ, ამ მოვლენებიდან რამდენიმე თვის თავზე, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან კითხვებს კვლავაც არ გასცემია პასუხი. აქციების დაშლისას გადამეტებული ძალის გამოყენების გამო პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ აუღია არცერთი ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანს. ხელისუფლება მხოლოდ რამდენიმე სამართალდამცველის დასჯით შემოიფარგლა, რომელთა მხრიდან გამოვლენილი ძალადობა ტელევიზიების საშუალებით გახდა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი. ეს კი მიანიშნებს, რომ კვლავაც არ არსებობს სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზაციისა და გაჯანსაღების პოლიტიკური ნება და გარანტიები, რომ ადამიანები საკუთარი შეკრების თავისუფლების გამოხატვისას კვლავაც არ გახდებიან სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებული ძალის მსხვერპლნი. სამაგიეროდ, ხელისუფლება სამაგალითოდ აპირებს დასაჯოს ოპოზიციური პარტიის ლიდერები, რომელთა მიმართ წაყენებული ბრალი ცალკე მსჯელობის საგანია და აქციის რამდენიმე მონაწილე, რომელთა წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების სისუსტე კვლავ უსამართლობის განცდას ტოვებს საზოგადოებაში.

VII. რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- დროულად მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი 20-21 ივნისის აქციის დაშლისას დაზარალებულ მოქალაქეებს;
- ობიექტურად და მიუკერძოებლად მიიყვანოს გამოძიება ბოლომდე და პასუხისმგებლობა დააკისროს დამნაშავე სამართალდამცველებს;
- დაუყოვნებლივ მიაწოდოს ფართო საზოგადოებას ინფორმაცია 20-21 ივნისს დაზარალებულ ჟურნალისტთა საქმეებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ. მოახდინოს გამოძიების კვალიფიკაციის ზუსტი და სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაცია - ყველა შემთხვევაში, სადაც დაზარალებულებს ჟურნალისტები წარმოადგენენ, გამოძიების მხრიდან ყურადღება გამახვილდეს ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლაზე;
- აუცილებელია დამოუკიდებელი მოკვლევის ჩატარება თვითნებურ და უსაფუძვლო დაკავებზე, დაკავებებისას ძალის გადამეტებასა და შესაძლო არასათანადო მოპყრობის თითოეულ ფაქტზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ინსტიტუციურ დონეზე აღმოფხვრას აქციის დაშლისას სპეციალური საშუალებების გამოყენების და დემონსტრაციებზე წესრიგის მართვის მიმართულებით არსებული სისტემური ხარვეზები.
- მნიშვნელოვანია, დაზარალებულ მოქალაქეებს აუნაზღაურდეთ მატერიალური ზიანი, რაც მათ მიადგათ სამართალდამცველთა უკანონო ქმედებების შედეგად;
- შსს-ს აკადემიის შესაბამის სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მედიის წარმომადგენელთა მიმართ სამართალდამცველთა ქცევის წესებს, განსაკუთრებით - დემონსტრაციების პირობებში; უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცავთა ცნობიერების გაზრდა მათი ვალდებულებების შესახებ;

საერთო სასამართლოებს:

- აუცილებელია სასამართლო ხელისუფლებაში არსებული ხარვეზების სათანადო გაანალიზება და კრიზისულ პერიოდში სასამართლოების მოქნილი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება.
- აუცილებელია სასამართლო კონტროლის გაძლიერება დაკავებისას სამართალდამცველთა მხრიდან ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.